

არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის N603 დეპარტამენტი

სწავლება

დეპარტამენტი ემსახურება სწავლების სამივე საფეხურის პროგრამებს: „არქიტექტურა“ და „არქიტექტურათმცოდნეობა“.

არქიტექტურული საფუძვლების კურსის მიზანია სტუდენტმა გააცნობიეროს არქიტექტურის არსი და დანიშნულება, პროფესიული საქმიანობის საფუძვლები, შემოქმედებითი ფორმები და მიმართულებები.

დაეუფლოს არქიტექტურული დაგეგმარების მეთოდის საფუძვლებს, ნაგებობის გამოხაზვის ხერხებს და საშუალებებს, შეძლოს მარტივი ობიექტების ორთოგონალურ პროექციებში გრაფიკულ-მხატვრული სახით შესრულება. მოცემულობით გათვალისწინებული არქიტექტურული ნახაზის ტექნიკური და კომპოზიციური ამოცანების გადაწყვეტა გრაფიკული გაფორმების ელემენტების გამოყენებით. (ნახაზი, გრაფიკული ნახატი, ამორეცხვა, პერსპექტივა და სხვა...), ნახაზის შესრულების თანამიმდევრობა და ხერხები, წარწერების და ზომების განლაგების სისტემა.

„არქიტექტურის შესავალი და გრაფიკის საფუძვლები“ მიზანია არქიტექტურული ორდერების შესწავლა და მათი გამოხაზვა, არქიტექტურული შრიფტის გამოხაზვა, არქიტექტურული ნაგებობის დეტალების შესწავლა, მისი გამოხაზვა და ამორეცხვა ტუშით. მარტივი შენობის ძირითადი ნახაზების გადახაზვა.

კურსი მოიცავს მცირე არქიტექტურული ფორმების დაპროექტების მეთოდებს, მათი მოცულობითი მასშტაბის გაცნობიერებას და სივრცით გარემოსთან შესაბამისი მასშტაბური მორგების საკითხებს. ასევე, არქიტექტურულ ფორმებში გამოყენებული მასალის, ფაქტურის და ზოგადი კონსტრუქციულ-სტრუქტურული ელემენტების ცოდნას.

„არქიტექტურული კომპოზიციის“ მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს ფორმათწარმოქმნის ძირითადი კანონები და ხერხები. პირველადი ელემენტების და გეომეტრიული ფორმების ერთიანი მხატვრულ-გამომსახველობითი სტრუქტურული სისტემების აგების პრინციპები.

„არქიტექტურული გეგმარების საწყისების და აზომვითი პრაქტიკის“ მიზანია სტუდენტი მოამზადოს პროფესიული საქმიანობისათვის კერძოდ, მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, რომ სტუდენტმა შეისწავლოს დაგეგმარების მეთოდის ძირითადი საფუძვლები, საპროექტო დავალების პირობები, არქიტექტურული ნახაზის სტადიების მიხედვით შესრულების საშუალებები და ხერხები, განუვითარდეს სივრცითი მასშტაბის შეგრძნება, რომ მან თავისუფლად შეძლოს მცირე მოცულობის მქონე ნაგებობის დაგეგმარებიდან რთული ობიექტების დაგეგმარებაზე გადასვლა. სასწავლო კურსის ყველა მოცემულობა თემატურად ერთმანეთისაგან გამომდინარეობს და ძირითადად პრაქტიკულ მეცადინეობაზე არის დამყარებული, რადგანაც თეორიული ცოდნის განმტკიცება ხდება პრაქტიკული მეცადინეობის საშუალებით.

აზომვითი პრაქტიკის ჩატარების მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს შენობა-ნაგებობის აზომვის ტექნიკური ხერხები და საშუალებები. დაგეგმოს მოსამზადებელი სამუშაოები პლენერზე გასვლით. გსმომუშაოს ობიექტის თავისებურებათა ასახვის ჩვევები, აითვისოს ამზომი ხელსაწყოების ტექნიკური გამოყენების პრინციპები, შეძლოს ასაზომი ობიექტის ადგილზე ფიქსაცია, მისი ფრაგმენტების ჩანახატების, სქემატური სახის ესკიზების, დასაყრდენი სახის არქიტექტურული ანაზომების შესრულება შესრულება, ასაზომი ობიექტის ძირითადი გეგმების და ფასადების კროკებზე ანაზომებით მიღებული ყველა ზომის ზუსტი ფიქსაცია (გეგმები, ფასადები, ჭრილები, ფრაგმენტები, დეტალები, ციფრული ფოტომასალები) მოცემული ობიექტის ანაზომების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გრაფიკული სახით შესაბამის მასშტაბში შეასრულოს ნაგებობის ნახაზები ორთოგონალურ პროექციაში.

არქიტექტურის საფუძვლებისა და გრაფიკის კათედრაზე თავის დროზე მოღვაწეობდნენ ისეთი დამსახურებული პედაგოგები, როგორც არიან ეთერი ფიფია, შალვა გოგოლაძე, ზურაბ კიკნაძე, ნანული თევზაძე და მოღვაწეობენ ზურაბ ტიტვინიძე, თამარ ჭანტურია, ქეთევან ბერეკაშვილი, მარინა მაისურაძე, ლ. მეგრელიშვილი, ვანდა მუჯირი, თამაზ გოგოლაძე, ზაქარია შავაძე, ლალი ხვედელიძე, მარიამ მაღალურაძე, თამარ ლორთქიფანიძე, გურამ აბულაძე, ვალერიან კლდიაშვილი, გელა კობიაშვილი, მ. გოგოლაძე.

კათედრის წევრების მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულია სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები, მონოგრაფიები:

ნ. თევზაძე „არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები“ სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტი 2005. შალვა გოგოლაძე „არქიტექტურული მორფოლოგიის ზოგადი თეორია“ სახელმძღვანელო 2017. თბ. „ნეკერი“. ნ. თევზაძე, გ. ჩიგოგიძე, ი. ციციშვილი და სხვ. „არქიტექტურული განათლების საწყისები“ დამხმარე სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტი 1997. შ. გოგოლაძე „მატერიალური კულტურის ძეგლთა ფიქსაცია“ ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 1997. მ. მაისურაძე, თ. ჭანტურია, ი. კუპატაძე „თანამედროვე არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებები“. ტექნიკური უნივერსიტეტი, 2014. და ა. შ.

„კონსტრუქციები არქიტექტურაში“ კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ-გეგმარებითი და კონსტრუქციული აგებულების (სტრუქტურის) თავისებურებები, ენერგოეფექტურობისა და მდგრადი განვითარების პრინციპები, რათა პრაქტიკული საქმიანობის წარმართვის პროცესში ამ ცოდნის გამოყენებით შეძლოს დაპროექტებული შენობა-ნაგებობების, მათი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების, კვანძების და დეტალების გადაწყვეტა და სათანადო საპროექტო დონეზე დამუშავება.

სასწავლო პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილია არქ. ფიზიკის საკითხების შესწავლა (კლიმატოლოგია, ინსოლაცია, განათებულობა, თბოფიზიკა, აკუსტიკა), რის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე სრულყოფილი პროექტის შექმნა.

კათედრაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ისეთი დამსახურებული არქიტექტორები და პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: ა. ბერიშვილი, თ. კვიციანი, ვ. ნიკოლაძე, ვ. გაგოშიძე, ჰ. მოსულიშვილი, გ. ერისთავი, დ. ჩიჩუა, ე. ჩხეიძე, პ. ხუხია, მ. ნარეშელაშვილი, ნ. რაზმაძე, ლ. კანდელაკი. დღეს აგრძელებენ მოღვაწეობას: ჯ. მალაღურაძე, ლ. ბერიძე, ვ. ფირცხალავა, გ. ნაცვლიშვილი, ბ. ბერიშვილი, გ. ცხოვრებაშვილი, გ. მუხიაშვილი, გ. ბერიძე, მ. გაგაძე, მ. ლეკიშვილი, ნ. ქიქოძე. ნ. საყვერისვილი.

კათედრის წევრების მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულია სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები, მონოგრაფიები:

ა. ბერიშვილი „სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურა“ სახელმძღვანელო. „განათლება“ თბ.1977. ჯ. მალაღურაძე „ნაშენთა ხუროთმოძღვრული ნაწილები“ (წიგნი მეორე მასობრივი შენობები) სახელმძღვანელო. „უნივერსალი“ 2013. ჟ. მალაღურაძე, მ. მალაღურაძე „ნაშენთა ხუროთმოძღვრული ნაწილები“ (წიგნი მესამე დიდმალიანი საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობა-ნაგებობები) სახელმძღვანელო „უნივერსალი“ 2015. გ. ხმალაძე, ვ. ფირცხალავა „დაპროექტების ფუნქციური საფუძვლები“ დამხმარე სახელმძღვანელო „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2013. და სხვ.

არქიტექტურის ისტორიის კურსში გაერთიანებული საგნების სწავლების მიზანია მსოფლიოს არქიტექტურის ისტორიის, არქეოლოგიური არქიტექტურის, ქართულ ძეგლთა რესტავრაციის და რეკონსტრუქციის, მსოფლიოს თანამედროვე არქიტექტურის მიმართულებების და ტენდენციების, საქართველოს არქიტექტურის ისტორიის და თეორიის შესწავლა.

კათედრის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია მსოფლიოს არქიტექტურის ისტორია, არქეოლოგიური არქიტექტურა, ქართულ ძეგლთა რესტავრაცია და რეკონსტრუქცია, მსოფლიოს თანამედროვე არქიტექტურის მიმართულებები და ტენდენციები, საქართველოს არქიტექტურის ისტორია და თეორია.

კათედრის წევრების მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულია სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები, მონოგრაფიები:

ნ. შავიშვილი, მ. გუჯაბიძე - ”მსოფლიოს უახლესი არქიტექტურა”, სახელმძღვანელო, თბ., 2006. ნ. შავიშვილი-„მიმდინარე არქიტექტურის ინსტრუმენტები“, ლექციების კურსი, თბ.2018. ნ. შავიშვილი, მ. დავითაია-„კოდები და ნიშნები არქიტექტურაში“, სახელმძღვანელო, თბ. 2018, მ. დავითაია-„ბრწყინვალე ბუნება, ბრწყინვალე ხალხი, ბრწყინვალე არქიტექტურა“ მონოგრაფია, თბ. 2011, მ.დავითაია-„მსოფლიო არქიტექტურის ისტორია (უძველესი სამყარო)“, სახელმძღვანელო, თბ., 2012, მ. დავითაია-„მსოფლიო არქიტექტურის ისტორია (ანტიკური სამყარო. ადრექრისტიანული და ბიზანტიის პერიოდები)“, სახელმძღვანელო, თბ. 2018, მ. ძიძიგური-„დასავლეთ ევროპის არქიტექტურის ისტორია რომანული ეპოქიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე“, სახელმძღვანელო, თბ., 2016, ნ.ასათიანი-”მალხაზ კუხაშვილი ფერწერასა და გრაფიკაში”,

თბ.2013, ნ.ასათიანი -„სახვითი ხელოვნების ნიმუშთა მხატვრულ-სტილისტური ანალიზი“, თბ. 2015 და სხვ.